



წიგნი "გელოდები" ავტორი ეთერ ჩუმაშვილი, წიგნში შეტანილია 14 ბოლნისელი მებრძოლი, რომელიც დაიკარგა 1992-93 წლის აფხაზეთის ომში

აფხაზეთი სანაჩაბლო მარტო ჩემი არა ყველა ქართველის ტკივილია. ეს ის თემაა, რომელიც ყველა ოჯახს შეეხო. ამ ომს შეეწირა ბევრი მეომარი, სხეულის ნაწილები დატოვა ბევრმა ვაჟკაცმა, სული გადაირჩინეს, სხეული ვერა და გვყავს შინმოუსვლელთა არმია. ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ ძალიან მტკივნეულია. ამ ომმა წამართვა მამა, დავით (უშანგი) ჩუმაშვილი, რომელმაც მისი მეგობრის, ანზორ ოჩხიკიძის სიკვდილს ვერ გაუძლო და გულის შეტევით გარდაიცვალა, ჩემი ძმა მამუკა ჩუმაშვილი სულით მაშინ დაავადდა, როცა დიმა ლაზარეშვილი ხელებში მოუკლეს (საწყალი, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მიყვებოდა რა საშინელებათა, როცა ხელში გიკლავენ მეგობარს და შენ ამ დროს უძლური ხარო). მე დავკარგე 14 ბოლნისელი, მათ შორის, ჩემი სისხლით ნათესავი ძმები. ეს ყველაფერი ბავშვობიდან მტკივა... მთელი ცხოვრება ვფიქრობდი თუ რა გამეკეთებია ამ ბიჭების სახელების

უკვდავსაყოფად და გადავწყვიტე, რომ მათი სახელები და გვარები უნდა იცოდეს მთელმა ქვეყანამ. ამიტომ გადავწყვიტე წიგნი დამეწერა მათზე. პროექტის მხარდაჭერისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“-ს დირექტორს ბატონ ალუ გამახარას და ფონდი „კრისტალი“-ს გამგეობის თავმჯდომარეს—არჩილ ბაკურაძეს, როლებმაც გულდასმით მომისმინეს და მითხრეს, ჩვენ თქვენს გვერდით ვართო. მადლობა, რომ არსებობთ, ჩვენი ერთობლივი პროექტი შედგა!

აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო ბოლნისის მაჟორიტარს, ბატონ გოგი მეშველიანს, მუნუციპალიტეტის გამგებელს, ბატონ დავით შერაზადიშვილს და მის მოადგილეს, ბატონ ჯუმბერ გობეჯიშვილს. უდავოდ, დიდი წვლილი მიუძღვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანამშრომელ აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო ბოლნისის მაჟორიტარს ბატონ გოგი მეშველიანს, მუნუციპალიტეტის გამგებელს ბატონ დავით შერაზადიშვილს და მის მოადგილეს ჯუმბერ გობეჯიშვილს. უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის თანამშრომლებს და მადლობა მათ ამისთვის. აგრეთვე ამ ღონისძიებასა განხორციელებაში და წიგნის პრეზენტაციაში დიდი წვლილი მიუძღვის ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ააიპ კულრუტის, საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანებას და ბოლნისის კულტურის სახლის ადმინისტრაციას.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი დროის გამირების ოჯახებს გაწეული დახმარებისთვის.. ექვიც არ მეპარება, რომ ამ ოჯახებში გამირები გაიზრდებოდნენ. საქართველოს ჰყავს ჩვენი დროის გამირები , ხოლო ჩვენ ყველა ერთად კიდევ შევძლებთ ავაშენოთ ძლიერი სახელმწიფო.

### *ეთერ ჩუმაშვილი*

ქალაქს ემოსა პერანგი წვიმის, სისხლისფერ წვეთებს გაევსო მიწა, დღე იყო რაღაც ძალიან ცივი, ცრემლებად იქცა უძირო რიწა... და რძისფერ მთებზე მოწყენილ იებს ჩაატარებენ სულ სხვა ხელები... ილორს მოვავლე თვალები, მღვრიე და მივაბარე ზეცას ცხედრები. დავემშვიდობე ბედის ლოდებს, კამანში სისხლი ამაოდ ვღვარე, ამაზე მეტი რა უნდა მექონდეს, ან როგორ დავთმო სამოთხის მხარე. საკენ-ჭუბერი, ქართველთა თხემი, ამდენი ცოდვით დამძიმდა მიწა... და იგვიანებს, სად არის გემი, ან, ვინ შეღება სისხლისფრად რიწა. ან ვინ ჩატეხა ხიდი ენგურის, ვინ დაადუმა მოქვის ზარები, რისთვის გაყიდეს ხატი, ჭედური, ფრესკებს მოვავლე ცხელი თვალები. ენგურს გადაღმა გაზაფხულია, თუმცა, არ ყვავის დამწვარი ნუში, ნამგალა მთვარეს სად არ უვლია, დიოსკურია ჩაუკრავს გულში. ასე წამართვეს სიცოცხლის გემო, დამუნჯდა ილორს დედო ზარები ისე ნუ მომკლავ, უფალო, ჩემო, რომ არ მოვავლო სოხუმს თვალები!...

**მათ საქართველო უყვარდათ . . . .**

ომი, რომელიც 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა, 25 წელი კი ტკივილად მოყვება საქართველოს.

1992 წლის 14 აგვისტო ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. სწორედ, ამ დღეს დაიწყო ძმათამკვლელი ომი, რომლის თავიდან აცილება ალბათ, შესაძლებელი იქნებოდა რომელიმე მხარეს, მის მძიმე, დამანგრეველ შედეგებზე ოდნავი წარმოდგენა რომ ჰქონოდა.

1992 წელს, 25 წლის წინ აფხაზეთში ომი დაიწყო. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში, რკინიგზაზე წესრიგის დამყარების მიზნით, საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები შეიყვანა, რასაც საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ სოხუმის ადგილობრივი ტელევიზიით აფხაზეთის ხალხს სამამულო ომის დაწყება აუწყა და ადგილობრივ შენაერთებსა და აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჩართულ საზოგადოებას თავ-თავიანთი პოზიციების დაკავებისკენ, ხოლო ოფიციალურ თბილისს სახელმწიფო საბჭოს ჯარების აფხაზეთიდან გაყვანისკენ მოუწოდა.

აფხაზეთში 14 აგვისტოს დაწყებული საომარი მოქმედებების ძირითადი ფაზა 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა. სოხუმის აღების ოპერაციაში აფხაზური ქვედანაყოფების გარდა მონაწილეობას იღებდნენ როგორც ჩრდილოეთ კავკასიელი მოხალისეები, ისე რუსეთის ხელისუფლების მიერ მობილიზებული კაზაკები და რუსეთის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფი.

აფხაზურმა შენაერთებმა საქართველოსა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ენგურზე 1993 წლის 30 სექტემბერს დაიკავეს. სწორედ, ამიტომ აფხაზური ხელისუფლება ქართულ მხარესთან საომარ მოქმედებებში გამარჯვებას ოფიციალურად 30 სექტემბერს აღნიშნავს.

ჩვენთვის კი 27 სექტემბერი - სოხუმის დაცემის დღე... 13-თვიანი ბრძოლის საშინელი შედეგი - დაკარგული ტერიტორიები, უამრავი მსხვერპლი და დევნილია...

საქართველომ ღირსეული ვაჟკაცები დაკარგა. ყველა კუთხის შვილი იბრძოდა აფხაზეთში ტერიტორიული მთლიანობისათვის.რომ ვერ ჩამოთვლი იმდენი გმირი ჰყავს საქართველოს, რომელმაც ამ ომს შესწირა სიცოცხლე. მათ შორის ასევე არიან უგზო- უკვლოდ დაკარგულებიც, რომელთა შესახებ დღესაც არაფერი ვიცით. სწორედ, ასეთ 14 გმირზე გვინდა გიამბოთ, რომლებიც ქვემო ქართლიდან, კერძოდ, ბოლნისიდან წავიდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად და დღესაც ელიან მათ ახლობლები, რადაგან ეს ბიჭები არავის უნახავს და აი, მათი სახელები და გვარებიც... რომელიც ნამდვილად უნდა იცოდეს საქართველომ და ახსოვდეს ყველა ბოლნისელს...

- 1.ამირან ჩუმაშვილი
2. ვალერი მამარდაშვილი
- 3.ირაკლი ურუმაშვილი
- 4.ტრისტან მოდებაძე
- 5.ლევან მემანიშვილი
- 6.გია ( ერმილე) ჭითანავა
- 7.დავით კობერიძე
- 8.მერაბ ლომთაძე
- 9.არჩილ რეხვიაშვილი
10. ფირუზ რეხვიაშვილი
- 11.რევაზ კვირიკაშვილი
- 12.გარსო სარქისიანი
- 13.მერაბ ფოლადიშვილი
- 14.კობა თაყნიაშვილი

ეს ბიჭები მოხალისეებად წავიდნენ და თავდადებით, იდეალების დაცვითა და სამშობლოს სიყვარულით იბრძოდნენ. თაობები შეეწირა ამ ომს, რადგან უკან დაბრუნებული, დამარცხებული ქართველიც „დაკარგულად” ჩაითვალა. ამ ხალხმა, ამ მეზობლებმა ვეღარ შეძლეს სრულყოფილი ცხოვრების გაგრძელება. მათ ხომ თვალწინ

მოუკლეს მეგობარი, თანამებრძოლი, ზოგს უღალატეს, ზოგს ზურგიდან ესროლეს... მას შემდეგ 25 მძიმე, მაგარამ იმედდაუკარგავი წელი გავიდა. წლები გავიდნენ და გაქრნენ, ბევრმა დამოკიდებულებაც კი შეიცვალა ამ ომის შესახებ, მაგრამ ერთი რამ, რაც ხელუხლებელი დარჩა, მათი გმირული სახელია .ჩვენ, ამ ბიჭებზე შეგვიძლია ხმამაღლა და სიამაყით განვაცხადოთ - **მათ საქართველო უყვარდათ!!!!** და ამისათვის მადლობა ვუთხრათ მათ, მათ მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს იმისთვის, რომ იყვნენ ჩვენს შორის და დატოვეს სახელი, რომლითაც დღეს თითოეული ბოლნისელი ამაყოფს...

## **ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით!**

ყოველ წელს ვამბობთ, რომ მომავალ წელს ჩვენ დავბრუნდებით აფხაზეთში. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ კვლავ აფხაზეთის გარეშე ვაგრძელებთ ცხოვრებას. აფხაზეთი საქართველოს ფილტვია, რომლის გარეშეც სუნთქვა და შესაბამისად, არსებობაც შეუძლებელია. აფხაზეთი საქართველოს დიდი ტკივილია, სულის ტკივილი... ღია ჭრილობა, რომელიც არასდროს მოშუშდება. იმედი, მომავლს რწმენისა, არასდროს უნდა დავკარგოთ. ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს, ჩვენს მიწა-წყალს- სწორედ, ამ ფიქრით უნდა იყოს გამსჭვალული თითოეული ჩვენგანის გონება. ცნობილი ქართველი მწერალი ოთარ ჭილაძე ამბობდა- სოხუმის დავიწყება დამარცხებას ნიშნავსო და ეს მართლაც ასეა. შეუძლებელია ბოროტებამ და უსამართლობამ გაიმარჯვოს. საქართველომ საუკუნეთა მანძილზე მრავალი განსაცდელი გამოიარა, ჩვენმა ხალხმა, ღვთის რწმენით, ყველა დაბრკოლება გადალახა და სწორედ ასე გადავრჩით. როგორც სოლომონ ბრძენი ამბობდა „ესეც გაივლის“ და დადგება დრო, როდესაც ქართული 5 ჯვრიანი დროაშა აფრიალდება სოხუმის თავზე, დადგება დრო, როცა ასი ათასობით დევნილი დაუბრუნდება თავის სახლ-კარს, დადგება დრო, როცა საქართველო გაერთიანდება. მაგრამ ის ტკივილი, რაც ომმა და სისხლის ღვრამ ადამიანებს მიაყენა, შეუძლებელია დავიწყებას მიეცეს. ნათქვამია, დრო ყველაფრის მკურნალიაო, თუმცა, ეს ყოველთვის ასე როდია. ჩვენ, მომავალმა თაობამ არ უნდა დავივიწყოთ იმ გმირების სახელები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს. ჩვენი ვალია მათი გზა განვაგრძოთ და მარად ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე ვიდგეთ. **ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით!**

სად დაიკარგეთ, ბიჭებო,

ასე რად დაიგვიანეთ?!

გადავიღალეთ ლოდინით,

რატომ არ შეგვეხმიანეთ?!

თუ სამშობლოსთვის დაეცით,

მაშ, გაჩენილხართ გმირებად,

იმედები და ეჭვები

ფიქრში თანაბრად ირევა!  
იქნებ, ტყვეობა გარგუნათ,  
ბედმა მუხთალი მტერისა,  
უნდა გაუძლოთ ამასაც,  
იმედი გქონდეთ შველისა!  
თმებგათეთრებულს თქვენს დედებს,  
ამოულამდათ თვალები,  
წუთი ქცევიათ საათად  
ღამეს ათევენ წვალებით.  
სიზმარში მაინც ეჩვენეთ,  
იმედი გაუხანგრძლივეთ,  
რომ უფრო მხნედ დაელოდონ  
თავის გაფრენილ არწივებს!  
ქვასაც კი ესმის გულქვასა,  
მათი მდუმარე გოდება...  
მალე დაბრუნდით, ბიჭებო,  
ბოლნისი კვლავ გელოდებათ!

22.02.1999 წელი ხათუნა ქარაია -ადამაშვილი

**1) ამირან გრიგოლის ძე ჩუმაშვილი** დაიბადა 1954 წლის 12 ოქტომბერს. მამა გრიგოლ კოსტანტინეს ძე ჩუმაშვილი, დედა თამარ შალვას ასული გაფრინდაშვილი.



მანანა ჩუმაშვილი - (და) მოგონება

იგი ამ ოჯახის პირველი სიხარული იყო. ოჯახში ექვსი დედმამიშვილი ვიზრდებოდით, 3 და და 3 ძმა. 7 წლის ასაკში შეიყვანეს ბოლნისის პირველ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგაც ჩააბარა ბოლნისის პროფესიულ სასწავლებელში მექანიზაციის ფაკულტეტზე. დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თავისივე პროფესიით. დაქორწინდა და შეეძინა ქალიშვილი ირმა, თუმცა, 40 დღის შემდეგ გარდაიცვალა. უყვარდა ყველა და ყველაფერი, სამშობლოც გამორჩეულად უყვარდა.

ომმა გველემპივით ჩაყლაპა უამრავი სხეული, წავიდა ლამაზი ბიჭების სიცოცხლე და სადღაც დაიკარგა. სასოწარკვეთილება გვეუფლება თითოეულ სიცოცხლეზე. მშრალი ინფორმაციის მიღმა დგას ოჯახი, შვილები, სანათესაო, სამეგობრო... ამირან ძმაო, ჩემო ტკივილო, იცი როგორ მენატრები? ტკივილამდე. რომ შემემძლოს ჩემი სიხოცხლის ნახევარს შენ გაჩუქებდი. ჩემო სიცოცხლე, ჩემო ძმაო და საუკეთესო მეგობარო, ჩემო, რომ იცოდე როგორ მაკლიხარ. შენ ხომ მომეცი პირობა, რომ სულ ჩემთან იქნებოდი ... მაშინ რატომ მიმატოვე?

თუმცა ვიცი, რომ შენც არ გინდოდა ასე მომხდარიყო... ვერც წარმოიდგენ როგორ მტკივა გული, როცა არ ვიცი სად გეძებო... არც დედასთან და მამასთან მეგულები, არც შენს ოჯახში, უსასრულობამდე ლოდინი საშინელებაა..... ეჰ, ჩემო ძვირფასო, ვერც წარმოიდგენ ისე მინდა ჩაგეხუტო და გითხრა, რომ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ. შენზე ვილოცებ და ვიფიქრებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. მე არ შემიძლია უშენოდ ვიყო მთელი ცხოვრება და ერთმანეთს ველოდებოდეთ დღითა თუ ღამით, რადგან უშენოდ ყველაფერი მკვდარია ამქვეყნად... არაფერი არ სუნთქავს უშენოდ, მე მხოლოდ შენს ფიქრებში ვიღვენთები, მხოლოდ ერთადერთი ხარ ამ ქვეყნად, ვისზეც შემიძლია ცრემლები წამომივიდეს თვალებიდან ჭირშიც და ლხინშიც. ყოველთვის გახსოვდეს, რომ როცა ძალიან მიჭირს ხოლმე, იცოდე ჩემს ფიქრებში ყველაფერს გიყვები და წარმოვიდგენ როგორ მისმენ შენი ღამაზი და ჭკვიანი თვალებით...

### მანანა ჯაჯანიძე

კარგად მახსოვს თბილი საღამო იყო და მანქანის სწრაფმა შეჩერებამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ამირანი მანქანიდან სწრაფი სვლით გადმოვიდა და ბიძამისის დავით (უშანგის ჩუმაშვილის) სახლში შევარდა. ამ დროს ადამიანი ყოველთვის ცუდზე ფიქრობ და ინერციით მეც მათკენ გავიქეცი.

-ფეხი არ გაადგა სახლიდან და დაგველოდე. მთელი სანათესაო მივდივართ ომში და მკვდრები რომ ჩამოგვიყვანონ დამმარხავი ვინმე ხომ უნდა იყოს სახლშიო?! ეჩხუბებოდა გურამის (მის ბიძაშვილს, ჩუმაშვილს) .

სასწაული ემოციაა , ადამიანი თავის ბედს აანონსებდა ... ჩვენ ადამიანები კი ამ დროს უძღვრები ვიყავით რაიმე მოგვემოქმედა. ღმერთის რჩეული იყო ყველა იქ წასული მეომარი. სასწაულად თბილი, კაცური, სიყვარულით სავსე ადამიანი იყო... მიმძიმს მისი გახსენება წარსულ დროში... ერთეულების ხვედრია გერქვას გმირი .

## 2) ვალერი მამარდაშვილი





ვალერიან გელას ძე მამარდაშვილი დაიბადა 1970 წლის 27 სექტემბერს. 1976 წელს შევიდა ბოლნისის #1 საჯარო სკოლაში . 1984 წელს სწავლა გააგრძელა ბოლნისის პროფ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1987 წელს. ამავე წელს გაიწვიეს სამხედრო სასწავლებელში. 2 წლის შემდეგ იყო ეროვნულ გვარდიაში. შემდეგ მუშაობდა სააბაჟო სამსახურში საზღვარზე, საიდანაც მოხდა მისი წაყვანა აფხაზეთის ომში.

მეგობარზე დავით წერეთელზე აკრეფილი გვაქვს

წერილი ვალიკოს

**ლოდინში ვკვდებით, ლოდინში ვცოცხლობთ, ლოდინში ვკარგავთ იმედს.....**

ჩემო ვალიკო, შვილო, რა იყო ,სად დაილეწე ფრთები,

რატომ არ ჩანხარ, რატომ დაგვტოვე ,არ გენატრებით დედი?

არ გენატრება შენი სახლ-კარი, შენი მშობლები, და -მმა,

იქნებ აღარც ხარ, შენი საფლავი წიწვით დაფარა ნაძვმა.

თუ მტარვალს ჰყავხართ ხელთ ჩაგდებული, მონის ხვედრი გკლავს შვილო,

არც მზე, არც მთვარე ბნელს არ გინათებს, შენ ჩემო თვალის ჩინო.

რა დაგიშავეთ, რისთვის გაგწირე, რატომ არ გესმის ჩვენი,

ნუთუ არასდროს არ ეპკურება ჩემს საფლავს შენი ცრემლი.

ლოდინში ვკვდებით, ლოდინში ვცოცხლობთ, ლოდინში ვკარგავთ იმედს,  
თუ დავიძინებ მხოლოდ იმისთვის, სიზმრად გიხილო იქნებ.  
ჩამოიღვენთა ფერადი ფარდა, ირგვლივ ნისლია შავი,  
სირცხვილი არის, ვაჟკაცის დედამ როგორ მოვიკლა თავი.  
თორემ სიცოცხლეს, ჩემს გამაღლებულს, უშენოდ ფასი არ აქვს,  
რომ დაბრუნდები, ამის იმედი დღე და ღამ გულით დამაქვს.  
თვალს და ხელს შუა დამივაჟკაცი ,  
მე ბავშვად გთვლიდი,  
როცა სამშობლოს ზეცას,  
როცა შეეხნენ, აღარ იკადრე მოცდა.  
თან გაიყოლე ფირუზი, არჩილ, დათო, ამირან ,გარსო,  
მერაბი, რეზო, ემზარი, ტრისტან, გუნდად გეხვიენ გარსო,  
დანარჩენებიც იქ გყავდათ გვერდით, ჯამბული, ლევან, გია.  
თქვენი ფარაჯა, სისხლით მოსვრილი, ვაი თუ სადმე გდია.  
სხვის ამბიციებს, ღალატს და სირცხვილს, როგორ შესწირეთ თავი.  
მალე დაბრუნდით, ვერ დავიჯერებ ხელთ ვერ ჩაიგდეთ  
ხუთას ბოლნისელს რომ შეგადართო კვებნად ჩათვლიან განა?  
ოღონდ დაბრუნდით, ჩემი სიცოცხლე, თქვენ გენაცვალოთ მარად.

**ა. გრზელიშვილი 29.07.97წ**

5) ირაკლი (ჯამბული) ილოს ძე ურუმაშვილი დაიბადა 1960 წლის 25 აგვისტოს, ბოლნისის რაიონის სოფელ ქვეშში, გლეხის ოჯახში. 1967 წელს შევიდა სოფელის რვაწლიან სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1975 წელს. შემდგომ სწავლა განაგრძო ბოლნისის პირველ საშუალო სკოლაში და დაამთავრა სრული კურსი 1977 წელს. 1978 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში ავღანეთში 2 წლით. 1980 წელს დაიწყო მუშაობა დისველის სამხედრო აეროდრომში. 1991 წლის სექტემბერში წავიდა აფხაზეთში საქართველოს

ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ ომში მოხალისედ. დღემდე უგზოუკვლოდ დაკარგულის სტატუსი აქვს. დარჩა მეუღლე და ერთი შვილი სოფიო.



### სოფიო ურუმაშვილის (შვილი) მოგონებები

არ მინდა რომელიმე ქვეყანაში იყოს ობოლო ბავშვი. ეს ტკივილია, რომელიც არ შუშდება , დავიწყებას არ ეძლევა და ვერანაირი დრო ვერ გიმსუბუქებს. მამა, ისეთი ამინდია, ჩვენ რომ გვიყვარს. ყველა გოგოს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მამას, თუმცა მგონია, რომ ჩემთვის ყოველთვის ყველაზე საყვარელი და გამორჩეული ადამიანი იყო და ეს განსაკუთრებული სიყვარული, რომელსაც მის მიმართ ვგრძნობ, ყოველდღე ძლიერდება. კითხვაზე „დედა უფრო გიყვარს თუ მამა“, თუ ბავშვების უმეტესობის პასუხი ორივეა“, მე დაუფიქრებლად შემემძლო მეპასუხა „მამა!“

ამ ყველაფერს არ გავიხსენებდი, რომ არა ბევრჯერ მოსმენილი სიტყვები „საწყალი ბავშვები“. როცა პირველად გავიგე ეს ფრაზა, მაშინ გავიფიქრე, რომ ოდესმე ყველას ვეტყოდი , მე საწყალი არა, ბედნიერი და ამაყი ვარ, რომ ირაკლი ურუმაშვილი მამაჩემია! მამა ყველასთვის სამაგალითო იყო და დღემდე ასეა, ყველა ვინც მას იცნობდა, დიდი სიყვარულით და ტკივილით იხსენებს, არ მეგულება ადამიანი რომელიც მასზე ცუდს იტყვის. დღეს, როცა მამიკოს დაკარგვიდან 24 წელი გავიდა, გადავწყვიტე, ყველასთვის მეთქვა ეს – „ნუ

**შეგეცოდებით, პირიქით, ჩემი აზრით, ჩემნაირი ბედნიერი გოგო ცოტაა!** მერე რა, თუ მენატრება მამას კალთაში ჯდომა და მის ხუმრობებზე სიცილი, მერე რა, თუ არასდროს დამავიწყდება როგორ დავდიოდით ერთად მანქანით, როგორ მიყვებოდა მთელი გზა მისი ან ბაბუებისა და ბებიების ახალგაზრდობის ამბებს, როგორ მეშლებოდა ნერვები კითხვაზე „პატარა რომ იყავი, რამხელა იყავი“ და როგორ მიყვარდა მასთან ჩახუტებულს ძილი.

**მე მაინც ბედნიერი ვარ**, რადგან გავიცანი ჩემხელა ბიჭები, რომელთა პატივისცემაც მაშინვე მოვიპოვე, როგორც კი ჩემი გვარი და მამას სახელი ვთქვი და ახლა მხოლოდ ამ პატივისცემის ღირსეულად შენარჩუნებაა ჩემი მოვალეობა !

**ბედნიერი ვარ**, რადგან ვიცი, რომ სხვა გოგოებზე მეტი მომეთხოვება, მამაჩემი ხომ ირაკლი ურუმაშვილია!

**ბედნიერი ვარ**, რომ მამიკოს მაგალითზე ვისწავლე როგორი უნდა იყოს ნამდვილი კაცი, კარგი ქმარი და საამაყო მამა. ყველაზე მეტად იმიტომ ვარ ბედნიერი, მე ჩემი საყვარელი მამის სახელზე ვზრდი ირაკლი ურუმაშვილს. ამით დავრწმუნდი, ყველა მატერიალურ „სისულელეზე“ მაღლა ადამიანობა რომ დგას!

როდესაც წვიმის მელოდია სასიამოვნო იყო, სახე აღმაცერ ტკბილი ღიმილით გინათდებოდა, თუმცა ბოლო დროს იმდენად სევდიანი და არაამქვეყნიური იყავი, რომ მე შენი შემოხედვისაც კი მეშინოდა, უბრალოდ, ჩუმად, სუნთქვაშეკრული ვიდექი შენს გვერდით მუდამ, საკუთარი გულისცემის ხმისაც მეშინოდა, მეშინოდა იმიტომ, რომ გარდაუვალ, ძლიერ ცეცხლის სახმილს ვგრძნობდი, რომელსაც, ალბათ, მთელი ძალით მოწვიმარი ცაც ვერ ჩამორეცხავდა. მაშინვე შენს მხრებზე დავიდე ბინა და სუნთქვაში გეწილებოდი, ხომ შეიძლებოდა, რომ მალე, სულ მთლად უჟანგბადოდ დავრჩენილიყავ, შენ კი, როგორც ყოველთვის, გსიამოვნებდა ჩვენი ერთად ყოფნა, საუბარს -სიტყვების გარეშეც ვახერხებდით, შენ ისიც იცოდი, რომ ჩემს სხეულში შიში შემოიჭრა და სულს თავად უტკბესი ფსალმუნთა გალობაც კი ვერ მიმშვიდებდა, თვალს ხშირად ვარიდებდით ერთმანეთს და ამით საკუთარი შეგრძნებების დამალვას ცვდილობდით.

მე, დღეს უფროდ დარჩენილს, ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე, შენთვის ვერ ნათქვამ ყოველი სიტყვის მონად ქცეულს, სიშორე ვერ და ვერ გადამიტანია, ჩემგან(ჩვენგან) ვერ და ვერ გამიშვიხარ, ვერ და ვერ ვეჩვევი იმ მარტოობას, რომელსაც ვერასდროს ვერავინ ვერაფრით ვერ შემივსებს და დამიფარავს. არასოდეს მსმენია ობოლ ბავშვებზე, არასოდეს მოუყოლია დედას მსგავსი კომმარული ისტორია, რადგან მე მხოლოდ 5 წლის ვიყავი...და ვერასოდეს წარმომედგინა თავი უშენოდ... დედა დამიჯდა 12 წლის ასაკში და ამიხსნა, რომ აღარ დაგლოდებოდი. დედას ეგონა რომ მე მას ვუსმენდი, არადა, მე შენზე ვფიქრობდი... დიახ, მე იმ ბედნიერ ბავშვობაში ვარ, რომლიდანაც გამოსვლა ჯერ არც მიფიქრია!!!

ვიცი, შენ გესმის, მხედავ , გრძნობ !

იცი? მე მხოლოდ ვგრძნობ!

#### 4) დავით შოთას ძე კობერიძე - დაიბადა 1961 წლის 22 ივნისს, ქალაქ თბილისში.



#### მარიამ კობერიძის მოგონებები

მამა ბოლნისიდან პირველად 1993 წლის 18 სექტემბერს 50 კაცთან ერთად წავიდა საბრძოლველად, მაგრამ თვითმფრინავში ვერ მოხვდნენ და უკან დაბრუნდნენ. იმ საღამოს მახსოვს თქვა, წასვლა არ მიწერია, ვინაიდან, პირველად ვერ წავედიო. ალბათ, გული უგრძობდა, რომ განშორების წუთები ედგა მის ოჯახთან, შვილებთან, მეგობრებთან ... ჩვენც გაგვიხარდა, მაგრამ 19 სექტემბერს საღამოს მანქანით მოაკითხეს. დათო, ბიჭები ვიკრიბებით და მოდიხარო? მამაჩემი, როგორც სამშობლოს დიდი პატრიოტი და მოყვარული არც დაფიქრებულა. არ მინდა დავიჯერო, რომ ის საღამო ბოლო შეხვედრა იყო ჩვენი. ვერასოდეს ვიფიქრებ, რომ ვეღარ ვნახავ, ვეღარ ჩავხუტები და ვერ ვეტყვი, რომ ძალიან მიყვარს. გათენებამდე იარაღს წმენდდა და ემზადებოდა განშორებისთვის... 20 სექტემბერს, უთენია კი წავიდა. მე და ჩემს ძმას არც კი დაგვემშვიდობა, ერთ კვირაში დავბრუნდებო, დარწმუნებული იყო.

მას შემდეგ უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. ამდენი წლის შემდეგ მე მაინც იმედი მაქვს, არ ვიცი რისი, არ ვიცი ვისი, არ ვიცი რატომ? მაგრამ მჯერა, რომ ცოცხალი და უვნებელი დაგვიბრუნდება... 20 სექტემბერი ჩვენი ოჯახისთვის ყველაზე მძიმე და მტკივნეული დღეა. ამ

დღეს მახსენდება ყველა ის მოვლენა, ყველა ის ტკივილი, რასაც მამის მონატრება ქვია. მამა, რომელიც ყველაზე ახლო და გამგები ადამიანი იყო ჩემთვის და მთელი ჩვენი ოჯახისთვის, მამა, რომელიც ძალიან მენატრება..... მამა, რომლის გარეშეც მე ვაგრძელებ ამ ცხოვრებას..... მამა, რომელიც ძალიან მაკლია..... ყველაფერს მივცემდი იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ შემემძლოს მისი ჩახუტება და იმის თქმა, თუ როგორ ძალიან მიყვარს და როგორ უსაზღვროდ, უზომოდ მენატრება..... ეს ის დიდი მონატრებაა და ის დიდი ტკივილი, რომელსაც ასე ვერ გამოთქვავ, ვერ ავღწერ..... ცრემლი მერევა და ერთი კითხვა მაქვს, რატომ?... რატომ უნდა მეგრძნო მე ეს ტკივილი?! რატომ უნდა გავზრდილიყავი მე მის გარეშე..... რატომ, რატომ, რატომ.....

ძალიან მიმძიმს ამ თემაზე საუბარი, ვინაიდან, ეს ჩემი ცხოვრების ის ნაწილია, რომელიც წლების მანძილზე კი არ მსუბუქდება, არამედ, პირიქით. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ის ტკივილია, რომელსაც დრო ვერ შველის... ძალიან მიმძიმს ამაზე ფიქრი. ცრემლი მერევა თვალებზე, რადგან მამა, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარდა და მიყვარს, გვერდით არ მყავს, თუმცა ამაყი ვარ, რომ იგი სამშობლოს შეეწირა.

დედამ და მამამ ერთმანეთი ლატვიაში გაიცნეს, პატარა ქალაქ ლიელვარდეში. მამა იქ მსახურობდა ჯარში 1980 წლიდან. დედაჩემი 1981 წლის ზამთარში გაიცნო და ძალიან მალე დაოჯახდნენ. მე 1982 წელს დავიბადე. სულ მოგზაურობდნენ, ხან თბილისში ცხოვრობდნენ, ხან ლატვიაში ბრუნდებოდნენ. მამა უბრალო ადამიანი იყო, რომელსაც არანაირი სამსახური არ აშინებდა, მისთვის მთავარი იყო ოჯახის კეთილდღეობა. გული ყოველთვის სამშობლოზე შესტკიოდა, სამშობლოში უნდოდა დაბრუნება და ჩემი ძმის დაბადების შემდეგ კი, სამუდამოდ 1990 წელს საქართველოში, კერძოდ, ქალაქ ბოლნისში გადმოვსახლდით.

მამაჩემი ძალიან თბილი, მეგობრული, მოსიყვარულე ადამიანი იყო და ძალიან მალე ბოლნისშიც ბევრი მეგობარი და ახლობელი შეიძინა. თავის სითბოს და სიყვარულს ყველას უზიარებდა, ძალიან ყურადღებიანი, თბილი მოსიყვარულე და გულახდილი ადამიანი იყო.... მიჭირს დღემდე მასზე საუბარი წარსულ დროში. ის ჩემს გულში ყოველთვის ცოცხალი იქნება, ვინაიდან, სხვანაირად არ შემიძლია ფიქრი. და ამ ფიქრში 24 წელი გასულა...

იმ დროს საქართველოში ძალიან ჭირდა ცხოვრება. დედა ლატვიელი მყავს და სულ უნდოდა სამშობლოში დაბრუნება. ვინაიდან, წლები გადიოდა და ვხვდებიდით, რომ დამხმარე არავინ გვყავდა და მაშინ გადაწყდა, რომ ჩვენ უნდა დაგვეტოვა საქართველო. 2001 წლის ივლისში სამუდამოდ დავტოვეთ ჩვენი სამშობლო. ამჟამად ლატვიაში ვცხოვრობთ. მყავს სამი შვილი, ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟკაცი, რომელიც მამაჩემის სახელს ატარებს. ბავშვებმა იციან, რომ გმირი ბაბუა ყავთ და ამყობენ. ძალიან უნდათ ჩემი სამშობლოს ნახვა. იმედი მაქვს, რომ სულ მალე შევძლებ ამის ასრულებას და ჩამოვიყვან. ჩემი ძმაც დაოჯახებულია, ჰყავს ლატვიელი მეუღლე და ცხოვრობენ გერმანიაში. შოთა, ჩემი ძმა ძალიან პატარა, 4 წლის იყო და ვერ ათვითცნობიერებდა რეალობას და სულ გვეკითხებოდა მამა სად არისო?! ერთი საერთო სურათი გვაქვს ოთხივეს და იმ სურათში სულ მამას ესაუბრებოდა და ყველაფერს უყვებოდა.

**შოთა კობერიძის (ვაჟი) მოგონებები.**

4 წლის ვიყავი, მამა რომ წავიდა, არ ვიცი, სად წავიდა და რატომ, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან მეც ასე მოვიქცეოდი. ბევრი ტკივილისა და გაუსაძლისი მოლოდინის მიუხედავად, ამაყი ვარ, რომ ვარ დავით კობერიძის შვილი. მამაჩემი გმირია!!!

ბევრს ვერაფერს გავიხსენებ, პატარა ვიყავი, ერთი მონაკვეთი კი ძალიან კარგად მახსოვს. პატარა ვიყავი და მამას სამეგობრო ესტუმრა. დიდი სუფრა იყო გაშლილი, მამა სუფრის თავში იჯდა. ის იმდენად დიდად გამოიყურებოდა მეფესავით, მე მისი რატომღაც მეშინოდა. ეს მორიდებული და მორცხვი შიში იყო. თუ რატომ მახსოვს ასე, არ ვიცი. საღამოს ყველანი რომ წავიდნენ, მამამ ლექსის მოყოლა მთხოვა. „მგელი და კრავი,, ახალი ნასწავლი მქონდა, მაგრამ იმდენად მერიდებოდა, რომ მეორე ოთახში გავედი და ისე მოვუყევი. რა სამწუხაროა, მამა რომ ბუნდოვნად გახსოვს ადამიანს, გენატრება უსაშველოდ და უკიდევანოდ...

### **ავთანდილ კობერიძე ( ძმა) მოგონებები**

დათო მესამე იყო ოთხ ძმას შორის. უფროს ძმაზე, ჩემზე 5 წლით უმცროსი იყო და მასზე ზრუნვა მე მევალებოდა, ვინაიდან, ორივე მშობლები მუშაობდნენ. ძალიან საყვარელი ბავშვი იყო. მეზობლის უფროსი ბავშვები ძალიან ანებივრებდნენ და ისიც მთელ თავისუფალ დროს მათთან ერთად ატარებდა. სრული სერიოზულობით ელაპარაკებოდნენ, როგორც ტოლს და ისიც ძალიან ცდილობდა, რომ თვითონაც უფროსივით (დიდივით) მოქცეულიყო და ელაპარაკა.

არასდროს დამავიწყდება დათოს თვალები, როცა მეზობელმა წამაქცია და ქვეშ მომიყოლა. 5 წლის იქნებოდა მაშინ. ჯერ გაკვირვებული მიყურებდა, როცა შეატყო რომ სერიოზულად მიპირებდნენ გალახვას, გერონტას ზურგზე მოახტა და პატარა მუშტები დაუშინა თავში. ასეთი იყო დათო მთელი ცხოვრება, არასდროს არაფრის შეშინებია და არ დაუხევია უკან.

სწავლა განაგრძო 124-ე სკოლაში. მეგობრებისთვის და მასწავლებლებისთვის საყვარელი და მეგობრული იყო, მხიარული და სამართლიანი. არ გამიგია, რომ დათოს ეჩხუბა, სანამ არ დაილაპარაკებდა, არ იყო კონფლიქტური და ცდილობდა მის გარშემო ყველა მეგობრული ყოფილიყო.

ჯარიდან ჩამოსულს, დათო უკვე ჩემზე უფრო მაღალი და დიდი დამხვდა. დადიოდა ლეგენდები, რომ მისი დათობა შეუძლებელია, ადრიანად გაუგო ქართულ სუფრას გემო. ყოველთვის ირგებდა და სხვებსაც არგებდა. იგი ძალიან კომუნიკაბლური იყო. ორი სიტყვა და საჩხუბრად მოსული კაცი ძმად გაუხდებოდა.

შემდეგ ჯარში წავიდა, იმსახურა, დაოჯახდა, თითქმის დამკვიდრდა ლატვიაში. საქართველოს გამოცხადების შემდეგ დათო მეუღლით, მარიამით და შოთიკოთი სამშობლოში დაბრუნდა.

შემდეგ დაიწყო სრულიად უაზრო და დანაშაულებრივი ომი აფხაზეთში... კაცი, რომელიც თვითონ მხოლოდ ორ სიმღერას იწყებდა სუფრაზე „ხმალი მომეც და ხანჯალი“, „შინმოუსვლელო სადა ხარ,, . აუცილებლად უნდა მოხვედრილიყო ამ ომში და ისიც წავიდა.....

ალბათ, ეს ომიც ამიტომ იყო წამოწყებული, რომ ჩემი ძმა წასულიყო... და გმირის სახელი დაემკვიდრებინა .

## 5) გარსო სარქისიანი

გარსო გიორგის ძე სარქისიანი. დაიბადა 1953 წლის 23 ივლისს. სკოლა რუსულ ენაზე დაამთავრა, რის შემდეგაც გაიწვიეს ჯარში კამჩატკაზე. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდგომ, 1975 წლის 26 აპრილს დაოჯახდა. სწავლა განაგრძო რკინიგზის საინჟინრო ფაკულტეტზე. 1982 წელს დაამთავრა და მუშაობდა ქ.რუსთავის რკინიგზაზე, ინჟინრად. ჰყავდა და ეველინა სარქისიანი და ძმა აშოტ სარქისიანი. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში წასვლამდე სახლში დატოვა ოთხი არასრულწლოვანი შვილი - აგუნიკი, ოქსანა, თამარა და რუდოლფი. 1992 წლის 20 სექტემბერს ის სამშობლოს დასაცავად წავიდა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა , რომ ჩვენი ქვეყანა საქართველო ერთნაირად ტკბილია მისი ყველა შვილისთვის, მისი წარმომავლობის მიუხედავად. როცა ადამიანს გმირის სული აქვს, ვაჟაცაა , ის ყველგან დაიცავს თავის ღირსებას, თავის მიწას და ასახელებს როგორც საკუთარ ოჯახს, ასევე თავის ეროვნებას. ის ორმაგად გმირია, რადგან ქართველებს დაუმტკიცა ერთგულება, სომეხი ერი კი ამაცობს, რომ მათი წარმომავლობის ადამინი გმირულად დაეცა სამშობლოს მიწაზე.

## აქსანა სარქისიანის - (შვილი) მონატრება

მამა, იცი რომ მენატრები...მჭირდები... იცი, როგორ მიყვარხარ? როგორ მსურს, რომ ახლაც ჩემს გვერდით იჯდე და ამ ცხოვრების ათას ტკივილსა და დარდს მიმსუბუქებდე... მამა, როგორ მენატრება ის გავლილი წუთები, რომელიც შენს გვერდით მაქვს გატარებული... არ შეიძლება დროის უკან დაბრუნება? არ შეიძლება, რომ ისევ აქ იყო ჩემს გვერდით?... მაგრამ... მაგრამ, რაც შენ ადრე თქვი, ყველაფერი ამისრულდა... გახსოვს, რომ ამბობდი, შენ გვერდით როცა არ ვიქნები, მაშინ მოგენატრები?! ასეცაა...მენატრები...მჭირდები... ყოველ გაზაფხულზე მახსენდება, როგორ გვიყვარდა მე და შენ აყვავებული ტყემლის ხის ძირას ჯდომა და ჭორაობა, ახლა მარტო მივდივარ ხოლმე... ხის ძირას ვჯდები და ვტირი... ვტირი... მამა,ახლა ერთსლა გთხოვ, ხშირად დამესიზმრე და სიზმარში მაინც შემივსე ის სიცარიელე, რომელიც შენი წასვლით დამიტოვე...



**6) ტრისტან (ტიტე) შოთას ძე მოდებამე** დაიბადა 1969 წლის 30 ნოემბერს ქ.ბოლნისში.  
დედა - რაისა დომენტის ასული წურწუმია, მამა - შოთა ტრისტანის ძე მოდებამე.



#### **წონა მოდებამის (და)მოგონებები**

-ტრისტანმა დაამთავრა ბოლნისის ს.ს ორბელიანის N1 ქართული საშუალო სკოლა. ბავშობაში იყო ძალიან მოძრავი და ინტერესიანი. სკოლის პერიოდში დადიოდა ახალგაზრდა ტექნიკოსთა წრეზე, რომელიც იმ დროს პიონერთა სახლში ფუნქციონირებდა. სულ რაღაცას იგონებდა, აწყობდა და მოქმედებაში მოყავდა. მახსოვს 2-3-ჯერ რუსთავში გამოფენებზეც იყვნენ და რამდენადაც მახსოვს, მნიშვნელოვანი ადგილიც აიღეს. ეს ამბავი ძალიან ბუნდოვნად მახსოვს. თვითონ ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მით უმეტეს, თავის ქება.

სკოლის დამთავრების შემდეგ მალევე გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში. მსახურობდა აზერბაიჯანში, ქ.ბაქოს მახლობლად, რომელიც დაასრულა პირნათლად და

დაბრუნდა 90-იანი წლებში საქართველოში, სადაც იმ ხანად სამოქალაქო ომი იყო. საქართველოში იყო ომი, უგაზობა და უმუქობა. სამსახურები არსად იყო, იყო სრული განუკითხაობა... თვითონ ჩემი ძმა იყო ძალიან შრომისმოყვარე, არ უყვარდა უმუშევრობა და უმოქმედობა. მას ოჯახში არასოდეს უთხოვია დახმარება, პირიქით, ოჯახს აქეთ ეხმარებოდა. იმ პერიოდში მეც სტუდენტი გავხდი და ფაქტიურად, ჩემმა „შენახვამ“ - დედაქალაქში მის მხრებზე გადაიარა. რამდენადაც მახსოვს, ძალიან წვალობდა, ძალიან ცუდი დრო იყო, არსად არაფრის პერსპექტივა არ იყო... არადა, შეიძლებოდა კარგი ვაჟკაცი, კარგი მოქალაქე და შეუდარებელი ქართველი გვყოლოდა დღეს გვერდით და ბევრი კარგი საქმე წამოეწყო და გაეკეთებინა, როგორც ჩემთვის და ოჯახისთვის, ასევე სხვებისთვისაც....

1993 წელს კი მეზობლის ბიჭებთან ერთად აფხაზეთში გაიპარა. ოჯახის წევრებმა ერთი კვირის მერე გავიგეთ, რომ ომში წავიდა, თვითონ დაიბარა მეგობარს ზღვაზე მივყვებო და ექვიც არ აგვიღია. ერთი წლის თავზე მამა დაიღუპა. ის ძალიან უთქმელი და წყნარი კაცი იყო და ვერ გადაიტანა შვილის დაკავება.

დედაჩემი რაისა წურწუმია კი პირიქით, სულით მეზობელი ქალი იყო. სულ სჯეროდა, სულ იმედი ჰქონდა, რომ მისი შვილი კარებს შემოაღებდა და სახლში გალიმებული (როგორც იცოდა) შემოვიდოდა.... 24 წელი მას თვალზე ცრემლი არ შემშრობია, 24 წელი ჭიშკრისთვის თვალი არ მოუცილებია....

დედამ 85 წლის ასაკში შვილის ნატვრაში დალია სული...

რაც დრო გადის, მით უფრო მაკლია ერთადერთი დედმამიშვილი, ერთადერთი ძმა, რომელიც ძალიან ვაჟკაცური, ერთგული და ძალიან საამაყო იყო.

დღემდე ძალიან დიდი მონატრება და ტკივილია, რომელსაც არაფერი და ვერაფერი შევლის ამ ქვეყანაზე ....

### **ცირა ქვარცხავას (თანაკლასელი) მოგონებები**

-ტრისტანი (ტიტე-ჩვენ ასე ვეძახდით მას) გამორჩეული იყო თავისი მეგობრული დამოკიდებულებით, იუმორით, სამშობლოსადმი სიყვარულით, კაცობით და ვფიქრობ, ერთეულების ხვედრია გერქვას გმირი. მან ჩვენ ყველას ეს დაგვიმტკიცა!!! ტიტემ, თავისი თავდაუზოგავი სიყვარულით, ყველაზე ძვირფასი რამ „სიცოცხლე“ უძღვნა სამშობლოს. მე ამაყი ვარ, რომ მას ძალიან ახლოს ვიცნობდი, ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებდა ერთმანეთთან და ამიტომ მისი გახსენების დროს მახსენდება ჩვენი ლაღი ბავშვობა, რომელიც წარუშლელ კვალს ტოვებს ჩემი და ჩემი თანაკლასელების ცხოვრებაში.

### **მილერ ლიპარტელიანის (თანაკლასელი) მოგონებები**

ყველაზე ძნელი წარსულ დროში მეგობარზე საუბარი ყოფილა. ტრისტანი (ტიტე) სასწაული ადამიანი იყო. ბევრი ვერაფერი მოასწრო, მაგრამ დატოვა კვალი, რომ იყო უსაზღვროს შეყვარებული თავის ქვეყანაზე. ყველა ის ადამიანური თვისება ჰქონდა, რომელიც ქართველ კაცს უნდა ჰქონდეს. კლასში ყველას გამორჩეულად გვიყვარდა და პირიქით. სასწაული მეგობრობა იცოდა. ღვთის რჩეული იყო და იმ ვაჟკაც ბიჭებს შორის აღმოჩნდა, რომლებიც დღეს აკლია ბოლნისს. ქედს ვიხდი ყველას წინაშე.

7) გია (ერმილე) ჭითანავა დაიბადა და გაიზარდა ქალაქ ბოლნისში 1965 წლის 14 მარტს. ჰყავდა მამა -მუშური, დედა-ნინა და ორი და მათა და ლია ჭითანავები.



## მაია ჭითანავას - დის მოგონებები

მამა შვილის ნატრული წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ ბოლომდე იყო დარწმუნებული მისი შვილი დაბრუნდებოდა. გაა ბოლნისის #1 საშუალო სკოლაში სწავლობდა. სკოლის დამთავრების შემდგომ მოიხადა სამხედრო ვალდებულება პოლონეთში. ჩამოსვლისთანავე დაიწყო მუშაობა დაბა კაზრეთში, კარიერზე მძლოლად. ჯანმრთელობის გამო ვერ შეძლო მძიმე სამუშაოს შესრულება და ქალაქ ბოლნისში ავტოსადგურში ტაქსის მძლად დაიწყო მუშაობა. გაა (ერმილე) 1992 წლიდან იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთიანობისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე. 1993 წლის-27 სექტემბრიდან მასზე ოჯახს არანაირი ინფორმაცია აღარ მიუღია. მას მერე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითლება.

ჩემს უსაყვარლეს და მონატრებულ ძმასთან უამრავი ტკბილი და თბილი მოგონება მაკავშირებს. თითოეულს დიდი გულისტკივილით ვიხსენებ. ცრემლები მახჩობს, გაუსაძლისია მისი არ ყოფნა ჩემს გვერდით. წასვლამდე, ჩემს დაბადების დღეზე დიდი სიურპრიზი გამიკეთა- ხეზე ამოკვეთილი ულამაზესი ხატი ზარებით და როცა სიტყვებით მილოცავდა, ეს ზარები რეკდნენ. ძალზედ შთამბეჭდავი იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ჩემი ძმა, ჩემი დიდი იმედი იყო. ერთად სადაც ვიყავით, სულ მხიარულება იყო და ახლა ვხვდები, რა ბედნიერი ვიყავი მის გვერდით ყოველ წუთსა და წამს... დღეს კი რა დამჩა?! მხოლოდ და მხოლოდ ძლიერი სიყვარულის ძლიერი მონატრება... ძმაო გაა,მენატრები და უსაზღვროდ მიყვარხარ...

## ომარ ჭითანავა ( ბიძაშვილი) მოგონებები

არასოდეს არ მიფიქრია, რომ გაა ჩემი ღვიძლი ძმა არ იყო. ბავშვობიდან მოყოლებული უამრავი კარგი დრო გვაქვს ერთად გატარებული. ხშირად ვჩხუბობდით, გავბუტულვართ, მაგრამ ამ დროსაც ერთად ვთამაშობდით, ვერ ველეოდით ერთმანეთს. მესამე პირი გამოვიგონეთ ერთმანეთისთვის, რამის თქმა როცა გვინდოდა. სასაცილოები ვიყავით... მისი წასვლის დროს საქართველოში არ ვიყავი და ჩამოსვლისთანავე დავიწყე ძებნა, მაგრამ უშედეგოდ... არასოდეს არ დავიჯერებ, რომ გაა აღარ არის. იგი ჩემს გულში იცოცხლებს მანამ, სანამ მე ცოცხალი ვიქნები.

## XATIS WIN MARTOM

eklesiashi xatis win martom muxlmodrekilma daviwye locva, gmerts  
vevedrebi rom isev vnaxo chemi warsuli rac agar mova. shentvis vilocb gia  
dzamikov muxlmodrekili am qveynad gmerttan, vajkaci kaci ar kvdeba, ara  
shen gmertma ukve gadida qveynad.

## 8.რეხვიაშვილი ფირუზი ბორისის-ძე



დაიბადა ბოლნისის რ-ნი სოფ. რაჭისუბანში 1961 წ. 28 აპრილს. მშობლები- ბორის რეხვიაშვილი და ნაზიკო რეხვიაშვილი. ჰყავდა სამი ძმა: ფირანი, არჩილი და დათო. 1963 წ. საცხოვრებლად ოჯახთან ერთად გადავიდა დაბა კაზრეთში. 1968 წ. მივიდა დაბა კაზრეთის საშუალო სკოლაში და დაამთავრა 1978 წელს. მუშაობა დაიწყო კაზრეთის სამთო ქარხანაში მარშ-რეიდერად დამხმარედ. 1979 წ. გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში, სამხედრო მომზადებას გადიოდა რუსეთში კურილიის კუნძულებზე, 1982 წელს დაბრუნდა ჯარიდან. 1983 წელს დაქორწინდა ნანა ჯიქურზე და შეეძინათ ორი შვილი ნესტორი და ნესტანი. ნესტორი 9 და ნესტანი 7 წლისანი დარჩნენ . შემდეგ გადავიდა თბილისში სამუშაოდ ელ-დეპოს კომპანიაში, სადაც დაიწყო მუშაობა ტროლეიბუსზე. 1993 წლის 17 სექტემბერს მოხალისედ გაჰყვა თავის ძმას , რომელიც გვარდიიდან შვებულებით იყო ჩამოსული. ბოლნისის ბატალიონთან ერთად წავიდნენ და ამ დრომდე ითვლებიან უგზოუკვლოდ დაკარგულებად.

## **9. რეხვიაშვილი არჩილ ბორისის-ძე**



დაიბადა 1972 წელს. მშობლები ბორის რეხვიაშვილი და ნაზიკო რეხვიაშვილი. ჰყავდა 3-ძმა: ფირანი, ფირუზი და დათო. 1979წელს შვიდი წლის ასაკში შევიდა დაბა კაზრეთის საშუალო სკოლაში და დაამთავრა 1989წელს. მუშაობა დაიწყო სახელოსნო ბლოკში. 1990წელს გაიწვიეს სამხედრო ეროვნულ გვარდიაში. მსახურობდა ტყიბულის ეროვნულ ბატალიონში, საიდანაც საომრად გადიოდნენ აფხაზეთში. შემდეგ ჩამოვიდა შვებულებით და 1993წლის 17 სექტემბერს, თავის ძმასთან ფირუზისთან ერთად, რომელიც მოხალისედ გაჰყვა, ბოლნისის ბატალიონთან ერთად წავიდა აფხაზეთში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა და დღესდღეობით უგზო- უკვლოდ დაკარგულად ითვლებიან.

არჩილის ჰყავდა ბევრი მეგობარი . მისმა მეგობრებმა და ახლობლებმა, კერძოდ, ოთხმა პიროვნებამ, არჩილის საპატივსაცემოდ თავიანთ შვილებს დაარქვეს არჩილის სახელი. ჰყავდა მრავალი მეგობარი, რომლებიც დღესაც არ ივიწყებენ მას. მოდიან ოჯახში, ეხმარებიან და პატივს სცემენ არჩილის ოჯახს. მადლობა მათ. 2011 წელს ,ერთ თვეში არჩილის მამა და მესამე ძმა დათო გარდაიცვალნენ და ოთხი დედმამიშვილიდან დარჩა ერთი ძმა ფირანი.

### **ნესტან რეხვიაშვილის ( ფირუზის შვილი და არჩილის ძმისშვილი) მოგონება**

როდესაც ზამთრის სუსხიანი ქარი დაუბერავს და აჩონჩხილ ხეებს გააკანკალებს , მძიმე მოგონებები ცივად შემოგვაწვება ხოლმე გულზე, მოგონებები მამიკოზე და შენზე, აჩიკო ბიძია. ეს მოგონებები ბედნიერებებით და სიცოცხლის სიხარული არის სავსე. ჩვენ კი სულ ცრემლნარევი მონატრებით გიხსენებთ.

გვახსოვხართ და ჯერ კიდევ ვერ გავცნობიერებია ის ელდა, რაც შენი და ჩვენი საყვარელი მამიკოს უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო განვიცადეთ. ჩვენ ხომ უკვე ერთი მსხვერპლი შევწირეთ საქართველოს, ჩვენ ერთხელ უკვე ჩავხედეთ სიკვდილს თვალებში , როცა ემზარი ბიძიას „ცინკის „ კუბოს შევხედეთ (ემზარი ზურაბის ძე რეხვიაშვილი -დაიბადა 1972 წლის 16

სექტემბერს ონის რაიონში, ზურაბ რეხვიაშვილისა და ლიანა მეტრეველის ოჯახში. 1987 წელს დაამთავრა ბოლნისის რაიონის სოფელ რაჭისუბნის საშუალო სკოლა, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. იმავე წელს ჩაირიცხა თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში. 1991 წელს გაიწვიეს სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1992 წლის 1 ივლისს დაინიშნა მეხუთე ოცეულის მოადგილის თანამდებობაზე. ამავე წლის 4 სექტემბერს გადაყვანილი იქნა აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ომში. 1992 წლის 11 ოქტომბერს გმირულად დაეცა აფხაზეთის მიწაზე )

მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ პატარები ვიყავით, არ გვესმოდა სამშობლოს მცნება და არც რაიმე გაგვეგებოდა ომისა.

არჩიკო ბიძია შენ და ემზარი ერთად გაზრდილები იყავით, ერთად წახვედით პირველად აფხაზეთში, იბრძოდით ერთი შემართებითა და ერთი სიყვარულით, რასაც სამშობლო ჰქვია! ემზარი დაკარგეთ და ახლა ვაცნობიერებ , რომ ამ დანაკლის არავის აპატიებდით და თქვენც გმირულად შეებრძოლებოდით მტერს.

შემდგომ თქვენც წახვედით, წახვედით უხმოდ, ჩუმად, დაუზარებლად, თქვენი თავიც სასწორზე დადეთ სამშობლოსათვის. იმის მერე 24 წელი გავიდა ...24 წელი ცრემლითა და მანინც იმედით სავსე. ყოველი დღე ამიტომ გვიხარია, რომ თქვენზე რაიმე ახალს გავიგებთ. სახლში ყოველი მხრიდან თქვენი გაღიმებული სურათები შემოგვცქერიან . ვგრძნობთ, რომ ჩვენთან ერთად განიცდით, გწყინთ და გიხარიათ.

უთქვენოდ გავიზარდეთ, გავიარეთ ურთულესი წლები, უთქვენოდ შევადეთ პირველი სკოლის კარი, უთქვენოდ დაგვლოცა დედამ, რომელმაც ამდენი გაჭირვების მერე ისევ პატრიოტიზმს და სამშობლოსადმი ერთგულებას გვასწავლის დღემდე, მამას მაგალითზე გვიყვება სხვა საგმირო ამბებს. მამასთან ერთად დედაც გმირია და მე მიხარია, რომ ასეთ ოჯახში გავიზარდე. ახლა კი 24 წელი გავიდა და მე და ნესტორი დავოჯახდით. ალბათ ყველაზე დიდი სიხარული იქნებოდა ჩვენი ბედნიერება გენახათ.

მინდა მადლობა გადავუხადო, თქვენს ჩამოსვლამდე, ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ წლების განმავლობაში თქვენი ოჯახების გვერდით იყვნენ და თქვენი სახელები მარადიული გახადეს. ხოლო თუკი ეს ბედნიერება გვეღირსა და თქვენ დაბრუნდით, თქვენ იცით, კაცურად ეტყვი რაჭულ მადლობას. ღმერთმა გვისმინოს.

10) **რევაზ ვარლამის ძე კვირიკაშვილი**



დაიბადა 1967 წლის 24 ივნისს, ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელში. დაამთავრა ჩხუტელის საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ცაგერის პროფესიულ ტექნიკუმში, სადაც გამოირჩეოდა სანიმუშო ყოფაქცევითა და ღირსეული მამულიშვილობით. 1989 წელს სტიქიური მოვლენების გამო მისი ოჯახი ჩაასახლეს ბოლნისის რაიონში. რეზო წლების განმავლობაში თანამშრომლობდა სხვადასხვა ორგანიზაციასთან. გავლილი ჰქონდა სამხედრო წვრთნა. ბოლოს მუშაობდა ბოლნისის საბაჟოზე. 1993 წელს მოხალისედ წავიდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად აფხაზეთში, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. მშობლები: მამა ვარლამ და დედა თალიკო კვირიკაშვილები იყვნენ ერთი პატიოსანი და მშრომელი ხალხი. სიხარულით ზრდიდნენ 4 შვილს : რუსუდან, ნელი, თენგიზ და რეზო კვირიკაშვილებს. არასოდეს უფიქრიათ ბედისწერა თუ ასე გაამწარებდათ. უდიდესი სევდა და მწუხარება ეწვიათ მათ ოჯახს. დაელუპათ უფროსი ვაჟი თენგიზი, პროფესიით ინჟინერი. ძმის დაკარგვით გამოწვეული სევდა და ნაღველი ვერ გადაიტნა და გარდაიცვალა. ამოდ დაემებდნენ მშობლები და დედმამისშვილები რეზოს კვალს, ვერ დაადგინეს მისი ადგილსამყოფელი.

თვალცრემლიან დედას იმის იმედი არ ჩასახვია, რომ შვილის საფლავი მაინც ექნებოდა როდესმე. 17-18 წელი ტანჯვით იცხოვრეს რევაზის მშობლებმა. მათ ორი ქალიშვილი მეზობელ სოფელში ჰყავდათ დაქორწინებული. ჰყავდათ 5 შვილიშვილი: ნატო და ეკა მუშკუდიანები, ნინო, თამარი და ნიკოლოზ გზობავები. ამ წლების მანძილზე რევაზის მშობლებმა გაუძლეს ერთი ვაჟიშვილის დაკარგვისა და მეორის დაღუპვით გამოწვეულ სევდას. ბოლოს ძლიერმა დარდმა დარიათ ხელი, მამა ვარლამი გულის შეტევით გარდაიცვალა. დედა დაბრმავდა და საწოლს მიჯაჭვული მუდამ თვალცრემლიანი იყო და შვილის საფლავის ნატვრაში ამოხდა სული. მან სიკვდილის წინ ნათლად იხილა თავისი დაკარგული შვილი რევაზი, ცხადად დაელაპარაკა, ღიმილით მასთან მიიხმო და მის იმედად დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება. დარჩა



ორი და ნელი და რუსუდან კვირიკაშვილები, რომლებიც მუდამ თვალცრემლიანი დიდი ტკივილით იხსენებენ თავიანთი ოჯახის ტრაგედიას.

## 11. მერაბ ლომთაძე



მერაბი დაიბადა 1967 წლის 5 თებერვალს ბოლნისში. იგი ჩემზე 9 წლით პატარა იყო. პატარაობიდანვე ძალიან დიდი ბავშვი იყო, ლამაზი და პუტკუნა. მიუხედავად ამისა, დადიოდა ცეკვაზე და საოცარი მონაცემები ჰქონდა, იყო სხარტი და მოქნილი. ჩემი გათხოვების შემდგომ მე გადავედი ქალაქ ბოლნისის რაიონის სოფელ ბალიჭში საცხოვრებლად.

1993 წელს მერაბი მეორედ გაიწვიეს აფხაზეთში, სადაც იგი ხელის არეში დაიჭრა. საავადმყოფოში იმ დროს მებრძოლი შემოიყვანეს, რომელსაც გრძნობა ჰქონდა დაკარგული და სისხლისგან იცლებოდა. რთული პერიოდი იყო, საავადმყოფოს განყოფილებაში არ ჰქონდათ ძლიერი დამამშვილებელი მედიკამენტიც კი, ამ დროს მერაბმა თავისი კუთვნილი წამალი დაუთმო დაჭრილ მებრძლოს, რომელსაც ფეხი ჰქონდა დაზიანებული. მას უყვარდა სხვისი დახმარება, სხვების მიმართ უანგაროდ სიკეთეს უხვად გასცემდა.

შვილებს მე და მერაბი ვზრდიდით, დედა მუშაობდა და დროის უმეტეს ნაწილს სამსახურში ატარებდა. ძალიან თბილი და მზრუნველი იყო. მოვიდოდა შაბათ-კვირას, მიჰყავდა ბავშვები, ასეირნებდა, ართობდა, უყვებოდა სხვადასხვა ისტორიას. იყო ძალიან ყურადღებიანი ყველას მიმართ და ყველგან სითბო და სიყვარული შეჰქონდა. მერაბი ლიდერული თვისებებით გამოირჩეოდა, კლასში ყოველთვის თვითონ თაობდა და ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა შეკრებას. სუფრაზე ყოველთვის თამადაობდა, ძალიან კომუნიკაბელური იყო, ამიტომ ყველას სიამოვნებდა მასთან ურთიერთობა.

მერაბი 26 წლის იყო, როდესაც მესამედ 18 სექტემბერს ყარყარაშვილის ბატალიონში წავიდა, ბოლნისიდან მასთან ერთად რამდენიმე მოხალისე წავიდა საბრძოლველად. შემდეგ იგი აღარავის უნახავს და არანაირი ინფორმაცია აღარ გაგვიცია.

## 12. ლევან მემანიშვილი



1973 წლის 22 აგვისტოს, ჩემს მშობლებს, პავლე და ზენკო მემანიშვილებს მეხუთე შვილი შეეძინათ. მის დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე, თურმე ანეტა ბეზიას დედაჩემისთვის უთქვამს: გარდაცვლილი შვილის სახელს ნუ დამიკარგავ და მისი სახელის უკვდავსაყოფად ლევანი დაარქვიო. დედაც ასე მოქცეულა და შეუსრულებია დედამთილის თხოვნა. ახლად მოვლენილს ბიძის სახელი დაარქვეს. ხარობდნენ პატარა ლევანით.

ბეზია დიდი სითბოთი და სიყვარულით ეტყოდა ხოლმეშვილიშვილს, ჩემი შვილის დანაკლისი დღე შეგეწიოსო, ღმერთმა დიდხანს მიცოცხლოს შენი თავიო! ხარობდა შვილიშვილით, მაგრამ ლევანმა სულ ოცი წელი დაჰყო თვალსაწიერზე და მერე გაუჩინარდა...

ამ ოც წელიწადში ბევრი რამ მოასწრო: ისწავლა, მეგობრები გაიჩინა, სკოლაში წარჩინებით სწავლობდა, ზრდილობიან და სწავლისმოყვარე ბიჭს ემახდნენ. ძალიან მოწესრიგებული იყო, რომ იტყვიან სამაგალითო, თითოთ საჩვენებელი, ახარებდა მშობლებისა და დედმამიშვილების გულს.

პირველი დაწყებითი სწავლა – განათლება ქ. ბოლნისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ქართულ საშუალო სკოლაში მიიღო, შემდეგ კი სწავლა – ცაგერის რაიონის სოფელ ოყურეშში განაგრძო და წარმატებით დაამთავრა.

სკოლის დირექტორი და მასწავლებლები ლევანს ასე იგონებენ: ლევან მემანიშვილი ფიზიკურად ჯანმრთელი, გონებრივად განვითარებული ყმაწვილი იყო. ყველა სასკოლო

საგანს ერთნაირი მონდომებით ეუფლებოდა. უყვარდა მსჯელობა ადამიანის მოვალეობაზე ამ წუთისოფელში. დიდად პატივს სცემდა შრომასა და გარჯას, რაც ადამიანის ღირსებად მიაჩნდა. თავაზიანობა ახასიათებდა, როგორც თანატოლების, ისე უფროსების მიმართ. იყო მეტად თავდაჭერილი, მაგრამ სამართლიანი, პრინციპული და არასოდეს დაიხევდა უკან. ლევანს ბოლნისელი და ლეჩხუმელი თანატოლები დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებენ.

სწავლას მოწყურებულმა 1990 წელს, თავისი შესაძლებლობები თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცადა, მაგრამ პირველ წელს არ გაუმართლა. გადაწყვიტა, მომდევნო წელს ჩაებარებინა, მაგრამ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. შინაგანი ჯარის მე-8 ნაწილის რიგითი ჯარისკაცი პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. სამხედროში ისეთი გულმოდგინება გამოიჩინა, დედა-მამას არაერთხელ გამოუგზავნეს მადლობის წერილი, ასეთი კარგი და სამაგალითო შვილის გაზრდისთვის. ყველანი ვხარობდით და ვამაყობდით მისით. მაგრამ სწორედ მაშინ დაიწყო ომი აფხაზეთში. ის თავის მეგობრებთან ერთად მზად იყო ებრძოლა ქვეყნისთვის და სახლში პირნათელი დაბრუნებულიყო. ამბობდა: სიცოცხლე ღმერთმა მაჩუქა, ჩემი ღმერთი სამშობლოა აქ, ამ წუთისოფელში და თუ დასჭირდა, არ დავინანებო.

ლევანს ბევრი ნატვრა და ოცნება აუსრულებელი დარჩა, არ დასცალდა აქ, ჩვენს გვერდით ყოფნა. არ დააცალეს უკეთურებმა. დაიკარგა მაჭარკასთან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ქარცეცხლიან დღეებში, 1993 წლის 27 სექტემბერს. ვერ დასცალდა დაბრუნება, მისი მშობლებისა და დედმამიშვილების გულის გახარება. ძნელი აღმოჩნდა შვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი და მამამ მის ნატვრაში დალია სული. თვალცრემლიანი დედა, დღესაც მოლოდინშია. იქნებ, ჩემმა ლევანმა შემოადოს კარით.

მრავალმა წელმა განვლო მას შემდეგ. წელს, 2017 წლის 22 აგვისტოს, ლევანს 44 წელი შეუსრულდებოდა. მხოლოდ ოცი წელი დაჰყო ჩვენთან. მისი დაკარგვა ყველას ტკივილია, მაგრამ მაინც ვცოცხლობთ. ჩვენს ტკივილს ჩვენვე ვიყუჩებთ, მაგრამ დედას ვერაფერს ვუხერხებთ. ჩუმად, უხმოდ იცრემლება, ლოცულობს, ჩვენც ვლოცულობთ მისი დედმამიშვილები.


ტკივილის გასაყუჩებლად ისდა გვშველის, რომ გვჯერა წინაპართა ბრძნული ნათქვამისა, სანამ ხსოვნა არსებობს, ადამიანიც არსებობსო.

ჩვენ მუდამ გვახსოვს და გვემახსოვრება. აგვისტოში ახლობლებს ვახსენებთ, რომ ლევანი არსებობს, ყველა ლოცულობს მისთვის და მასთან ერთად იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც თავისი ლამაზი სიცოცხლე სამშობლოს უძღვნეს.

მათ სახელს სამშობლო და მადლიერი ხალხი არასოდეს დაივიწყებს!

გვენატრები და გვიყვარხარ ლევან!

### 13 მერაბ ფოლადიშვილი



ჩვენი ისტორია დაიწყო ჩემს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე. მე ჯერ არ ვიყავი, მაგრამ შენ უკვე მელოდებოდი და მელოდებოდი ალბათ ისე, როგორც არ ელოდებიან არასდროს და არავის ცხოვრებაში და შენ უკვე გიყვარდი, მთელი გულით, მთელი არსებით.

მე ზუსტად ვიცი, რომ, როცა პირველად მოვევლინე ამ სამყაროს, შენ სიხარულისგან იტირე. დედა მიყვებოდა, რომ შენ იდეკი სამშობიარო სახლის ფანჯარასთან სიხარულის და ბედნიერების ემოციებისგან გადარეული, იქნევი ყვავილებს და მღეროდი. დედას არ ესმოდა შენი ხმა, იმიტომ რომ ფანჯრები არ იღებოდა და მიუხედავად იმისა, რომ შენ ეს იცოდი, მაინც აგრძელებდი ყვირილს და სიმღერას.

ბავშვობიდან მე მახსოვს შენი ძლიერი და ამავე დროს მზრუნველი ხელები, რომლებიც შიშისა და აღფრთოვანებისგან აყვირებულს ამაგდებდნენ ხოლმე ჰაერში... მე ყოველთვის ვიცოდი, რომ შენ დამიჭერდი.

შენ იყავი ყველაზე მომთმენი და ყურადღებიანი ყველა ჩემს მასწავლებელს შორის, შენ გვასწავლე მე და ჩემს ძმას პირველმა ამ სამყაროს შეცნობა და შეყვარება.

შენ ყოველთვის იცოდი როგორ უნდა გეზოვნა ჩვენზე. იცი, ჩვენ გვაკლდი მაშინ, როდესაც ძალიან გვჭირდებოდა. უშენოდ ძალიან ბევრი რამ მოვასწართ. აკეთებდი ყველაფერს იმისთვის, რომ მე და ჩემს ძმას შენით გვეამაყა და ჩვენ ვამაყობთ შენით, იმიტომ რომ შენ ყოველთვის ახერხებდი დედასთვის ბედნიერების მინიჭებას.

შენ მე მასწავლე არა მხოლოდ ჩემი, არამედ სხვების ცხოვრების დაფასებაც და პატივისცემაც. შენი გაკვეთილები სამუდამოდ დარჩნენ ჩემს მეხსიერებაში.

შენ ყოველთვის პატივს სცემდი ჩემს არჩევანს. მაშინაც კი, როცა მე ვფიქრობდი, რომ ყველა საუკეთესო მამაკაცი უკვე ჩვენმა დედებმა ჩაიგდეს ხელში, მე შევხვდი კაცს, რომელიც ძალიან მაგონებს მამას. ის, რა თქმა უნდა, სხვა არის, მაგრამ როცა მას ვუყურებ, ხშირად ვფიქრობ შენზე. ჩემი მამა, ჩემი მამიკო... შენ ყოველთვის გესმოდა ჩემი, შენ ყოველთვის მხარს მიჭერდი, რაც არ უნდა მომხდარიყო, შენ იყავი ჩემი ყველაზე საიმედო დასაყრდენი, ჩემი მფარველი ანგელოზი, ჩემი ციხესიმაგრე...

თითოეულ ადამიანს სჭირდება მამა, მამა და არა სიტყვა და იცი, თუ მე შემეკითხებიან, ვინ არის საუკეთესო მამა მსოფლიოში, მე ვუპასუხებ ,რომ შენ ხარ საუკეთესო, ჩემი მამა, ჩემი მამიკო. მიყვარხარ ძალიან... და მენატრები...

#### 14.კობა თაყნიაშვილი



დაიბადა 1969 წლის 12 თებერვალს ქალაქ ბოლნისში. გაიზარდა ერთ ლამაზ ქართულ ოჯახში და მისი ცხოვრების აზრი და მიზანი სიყვარული და ვაჟკაცობა იყო. ოჯახში ჰყავდა დედა და და-ძმები. N 1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო პროფესიულ სასწავლებელში, შემდგომ სწავლა გააგრძელა თბილისის ინდუსტრიულ პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1993 წელს მსახურობდა გვარდიაში და ამავე წლის 18 სექტემბერს წავიდა აფხაზეთში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის არსებულ ომში.

#### მეგობრის ნიკო მალრაძე მოგონება

მოსაგონარი ბევრია, მითუმეტეს ადამიანზე, რომელიც შენი ბიძაშვილი, კლასელი და თანამებრძოლია, რომელთანაც მთელი ბავშვობა გავატარე , ერთად ვიზრდებოდით...მიჭირს კობაზე წარსულში ლაპარაკი. კობა თაყნიაშვილი -- ბავშვობიდანვე შრომისმოყვარე, პატიოსანი, უდალატო და სამაგალითო მეგობარი იყო. აფხაზეთის ომში გამოირჩეოდა სიმამაცით, თავდადებითა და გულისხმიერებით. აფხაზეთის ომში მოხალისედ ჩამოვიდა. რადგანაც ომში არ იყო ნამსახურები, მე და ჩვენი ბიძაშვილი მალხაზ თაყნიაშვილი ვნერვიულობდით, როგორ შეხვდებოდა და გადაიტანდა პირველ საბრძოლო ნათლობას, მაგრამ კობა პირიქით, ჩვენ გვამხნევებდა. სოფელ ლაბრაში ვიდექით წინა ხაზზე , 1993 წლის აპრილში. მახსოვს, 8 აპრილს სროლები რომ შეწყდა, დამის 12 საათის შემდეგ, ანუ 9 აპრილი თენდებოდა, თავისი სანგრებიდან მგეზავი " კრასერი " ტყვიები

ისროლა ჰაერში, შემეშინდა, რამე ხომ არ უჭირს - თქო და მასთან მივედი, საყვედური ვუთხარი: არ შეიძლება მაგ ტყვიების ღამით სროლა, რადგანაც ამით შენს ადგილსამყოფელს აშუქებ და მტერი ადვილად აღმოგაჩენს - თქო , მან კი გაიცინა, დაბადების დღე მომილოცა და ისაც დაამატა, რომ წინასწარ სხვა სანგარი მაქვს გამზადებული, რომ ადგილმდებარეობა შევიცვალო. ბრძოლის დროს უშიშრად მოქმედებდა, არც ბავშვობაში და არც ომში უკან არასდროს დაუხევია. ყოველთვის ცდილობდა დასახული მიზნისათვის მიედწია. ერთხელ მითხრა: " ჩვენ ღიმილის ბიჭებივით ვართ, აქ ვინც ვართ, ბავშვობის მეგობრები, ნათესავები და ერთი უბნელები ვართ და ისინიც ხომ ეგრე იყვნენო " ...

მეზობლის ავთანდილ ჭითანავას მოგონება

1989წლიდან აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ მოძრაობაში. გამოირჩეოდა უშიშრობით, ძალ- ღონითა და სამშობლოს სიყვარულით. არაერთხელ იყო სოხუმში. აზერბაიჯანელების შემოსევის დროს აქტიურობდა სხვა ბოლნისელებთან ერთად.

დედა - ნაწული თაყნიაშვილი 24 წლიანი უშედეგო ლოდინის მიუხედავად, წუთითაც არ კარგავს იმედს, რომ მისი შვილი აუცილებლად დაბრუნდება და გაახარებს ამდენი ხნის ტკივილით დაღლილ გულს.

„სიკვდილი რომ არ იყოს – აღარ იქნებოდა ამქვეყნად გულადი და ლაჩარი, მდიდარი და მონა, თვით სიკეთე და ბოროტებაც არ იქნებოდა, სიკვდილი რომ არ იყოს. არ დაგჭირდებოდათ არც ბრძოლა და ერთმანეთის ყლუტა, მაგრამ არც მოსაგლისათვის მიწის დაბარვა დაგჭირდებოდათ. არც ოსტატური სიტყვა-პასუხი, არც ვისიმე შიში არ გექნებოდათ და არც კეთილები იქნებოდით და არც ბოროტნი, არც ბედნიერნი და არც უბედურნი – აღარაფერი არ ვიქნებოდით, ვილა გაგვარჩევდა, სიკვდილი რომ არ იყოს... მთელი ის ჩვენი უსასრულო სიცოცხლე აღარაფერი არ იქნებოდა, ახლა კი, ახლა, სიკვდილი რომ არის, სიცოცხლე – სიცოცხლეა, მაშინ კი, მერწმუნეთ, დამიჯერეთ, თავად წვიმაც და ჰაერიც აღარაფერი არ იქნებოდა, აღარაფერი, ჰეე, სიკვდილი რომ არ იყოს...“ გურამ დოჩანაშვილი

შენ გესროლეს და მე მომხვდა გულზე, ტყუპის ცალი ძმის ნასროლი ტყვია. ენგურიდან შენს ხერხემალს ვუმზერ, კუთხე არა, სიყვარულია გქვია... ფრთამოტეხილ მაფშალიას ვგავარ, გაკვირტული გაზაფხული ყრია. მზე შენს ცაზე არასოდეს ჩავა, წარმართების აღსარება გქვია... დღეს ილორი, თუ სიზმარში მწყალობს, როგორ გახმა შენს ფერდობზე ია, ვიფერფლები მა ღურელი გვალო, და უშენოდ უპატრონო მქვია... ცას შეახმა თოლიების სისხლი, ძლივს დავდივარ, უძლური და ჩია. უსახლკაროს მიყურებენ ზიზლით, გული სკდება, რომ წარსული გქვია... ვეპარები შენს დასეტყვილ ველებს, კარს თუ არა, გულს დატოვებ ღიას... თუ ჩამიკრავ, შემახსენე მერე, რომ უშენოდ ჯოჯოხეთი მქვია...

